

ახალი სარეზერვუარი

381 (12) 25 ივნისი, 2018 წ.

ნიკოლოზ თოფურია ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელთან განხილვით სპეციალური საკითხები იმსჯელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიამ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. მერმა მოსახლეობისათვის აქტუალური საკითხები განიხილა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. ნიკოლოზ თოფურიამ ყურადღება გაამახვილა ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ჩუმათელეთის გზის მშენებლობაზეც და ხაზგასმით განმარტა, რომ ხეობის მიმდებარე სოფლებში იმორძავეებს მსხვილი ტექნიკა, რის გამოც წარმომადგენლებს მაქსიმალური ყურადღებისკენ მოუწოდა.



„უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება იწყება. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში შემოჰყავს ტექნიკა. დაიწყეს მინი სანარმოების გან-

თავსება და ბაზების მობილიზება. მალე მშენებლობა აქტიურ ფაზაში შევა, ამიტომ გთხოვთ ძალიან დიდ ყურადღებას, რათა მაქსიმალურად დავიცვათ უსაფრთხოების ზომები. დარწმუნებული ვარ, ამ გზის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას,“ - აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიამ.

თათბირზე ხარაგაულის მერმა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებაც მოისმინა ინფორმაცია და ყურადღება მათ მიერ შემუშავებულ მუნიციპალურ პროგრამებზე გაამახვილა, რომ-

ლებიც მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

ნიკოლოზ თოფურიამ წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდებზეც ესაუბრა.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულში აქტიურად მიმდინარეობს აზიური მავნებლის წინააღმდეგ შენამგლის სამუშაოები.

ხარაგაულის მერმა წარმოადგენლებისგან სოფლებში ამ დროისთვის არსებული პრობლემატური საკითხები მოისმინა და აღნიშნა, რომ მათი მოგვარების გზებში უშუალოდ ჩაერთვება.

ხაჩაგაყდის მუნიციპალიტეტის მეხმა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა

სოფელ ნუნისში, ცენტრალურ გზაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. ნუნისის ღვთისმშობლის სახელობის ბერების მონასტრიდან გზის 2 500-მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარი მოლითის ცენტრალურ გზამდე დაიგება. ბალნეო-კლიმატური კურორტი ნუნისის ზაფხულობით ასეულობით ტურისტს ღებულობს, ამიტომ სოფელში ინფრასტრუქტურის განვითარებას ადგილობრივები დიდი იმედით ელოდებიან. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეგიონული განვითარების ფონდიდან 311,444 ლარით დაფინანსდა.

გარდა ამისა, გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ნადაურში. პროექტის ფარგლებში 6 კმ-იანი მონაკვეთი მობეტონდება, რომელიც რეგიონული განვითარების ფონდიდან 727 502 ლარით



დაფინანსდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან კი თანამონაწილეობა 5%-ს შეადგენს. ნადაურში რეაბილიტირებული გზა არასდროს

ყოფილა, ამიტომ ადგილობრივები საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას სოფელში, ეკონომიკური განვითარების პერსპექტივით, დიდი იმედებით ელოდებიან. სამუშაოები შემოდგომაზე დასრულდება და გზაზე სანიღვრე არხებიც მოეწყობა, საჭიროების ადგილებზე ასევე გაკეთდება გაბიონები. გასულ წელს აქ ახალი საბავშვო ბაღიც აშენდა, სადაც 25 აღსაზრდელი იღებს სკოლამდელ განათლებას და შვიდი ადგილობრივია დასაქმებული.

როგორც მერის წარმომადგენელი ნადაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზურაბ შუბითიძე, განმარტავს, სოფელში ასეთი მასშტაბური პროექტები არასდროს განხორციელებულა.

სულ მალე მობეტონებულ გზაზე გადაადგილება ასევე გრიგალათის მოსახლეობას შეეძლება.

როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, უგზოობა დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ახლა კი ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან სოფლის ცენტრამდე 1 600 მეტრიან მონაკვეთს კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება. გზის სიგანე - 3,5 მ-ია, ხოლო ღირებულება - 310 622 ლარი.

მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიამ, მოადგილე არჩილ მაღრაძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს, თემური თაბუკაშვილთან ერთად ადგილზე გაეცნო.

მერის ინფორმაციით, 2018 წელს გზა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 26 სოფელში მობეტონდება, რისთვისაც ჯამში 6 მილიონ ლარზე მეტი თანხა დაიხარჯება.

არჩილ მაღრაძე ელვანში დაზიანებულ ინფრასტრუქტურას ადგილზე გაეცნო




ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მოსულმა უხვმა ნალექმა სოფელ ლედნის მოსახლეობა დააზარალა. ადიდებულმა ლექმა ცენტრალურ გზაზე ქვა-ლორღი გამოიტანა და ნათესები დატბორა. დაიტბორა ასევე რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და ეზო. დაზიანდა სასამელო წყლის სათავე-ნაგებობა და მილები. სოფელში არსებული მდგომარეობა ადგილზე შეისწავლა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, ინფრასტრუქ-

ტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა თემური თაბუკაშვილმა, მაჟორიტარმა დეპუტატმა ნიკოლოზ მაღრაძემ და მერის წარმომადგენელმა გელა მაღრაძემ.

არჩილ მაღრაძის განცხადებით, სოფელში, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, ტექნიკა შესულია და სამუშაოები უკვე დაწყებულია. მისივე ინფორმაციით, გაინმინდება ღელის კალაპოტი, ცენტრალური გზა და მონესრიგდება სასამელო წყლის სათავე-ნაგებობაც.

პიტხის საზოგადოებრივი სფეროში საზოგადოების უფროსი სახელმწიფო სპეციალისტის საგანგებო განცხადება



კიცხის საზოგადოებრივი ცენტრი უზუფრუქტის ცენტრის იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაეცემა. აღნიშნული საკითხის შესახებ დეპუტატებმა 18 ივნისს გამართულ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს. სა-

კითხი მათ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ გააცნო. როგორც მომხსენებელმა განმარტა, სოფელ კიცხში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრი სახელმწიფო სერვისების სააგენტოს უსასყიდლოდ

უზუფრუქტის ფორმით 30 წლით გადაეცემა. მისივე ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა აქტიურად იმუშავა, რათა მათი მხრიდან მომხდარიყო კომუნალური ხარჯების დაფარვაც, თუმცა იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნულთან დაკავშირებით უარი განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ კიცხში საზოგადოებრივი ცენტრი 2016 წელს გაიხსნა და მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს. აქ არა მხოლოდ საჯარო სერვისები, არამედ „მაგთისა“ და „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებაცაა ხელმისაწვდომი.

გვირდო მთაწადა ეპა შავიძე

დეპუტატებმა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში მოისმინეს

18 ივნისს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს, რომელიც ამავე კომისიის თავმჯდომარე, მალხაზ ფხალაძემ წარმოადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში შვიდი კომისიის სხდომა გაიმართა, რომელზეც განხილულ იქნა მუნიციპალიტეტისათვის აქტუალური საკითხები. ფხალაძის განმარტებით, კომისიამ არაერთხელ იმსჯელა დაბა ხარაგაულში წყლის მომარაგებისა და სამასალე ხე-ტყით ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მისივე თქმით, სამომავლოდ დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების საკითხის განხილვა, ასევე სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების აღიარების კომისიების ანგარიშის მოსმენა. გარდა ამისა, მალხაზ ფხალაძის ინფორმაციით, კომისია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ადგილზე ეცნობა. მან ასევე სტიქიის ფონდიდან გამოყოფილი თანხების ათვისებაზე ისაუბრა და დასძინა, რომ გარკვეული მიზეზების გამო საპროექტო სამუშაოების შესყიდვა ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

როგორც ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა თემური თავმჯდომარე გიორგი მერიაშვილმა განმარტა, მუნიციპალიტეტის მერიამ შვიდჯერ გამოაცხადა საპროექტო სამუშაოების შესყიდვისათვის ტენდერი, თუმცა მასში მონაწილეობა არცერთ ინდენარმეს არ მიუღია. „პროექტი ითვალისწინებს გეოლოგიური დასკვნის მომზადებას, რაც არის ალბათ ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ტენდერი ჩაიშალა,“ - დასძინა თავმჯდომარე.

ფრაქციის „თვითმმართველობა ხალხისთვის“ თავმჯდომარე, ინგა მალრაძე, აღნიშნა, რომ ხე-ტყის მოპოვება მოსახლეობისთვის საკმაოდ პრობლემურია და კომისია ამ საკითხის მოგვარებაში აქტიურად უნდა ჩაერთოს.

მალხაზ ფხალაძის ინფორმაციით, სამასალე ხე-ტყის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პარლამენტი ახალ რეგულაციებზე მუშაობს, თუმცა, რაც ცვლილებები განხორციელდება ჯერჯერობით უცნობია.

სხდომაზე დეპუტატებმა ყურადღება გაამახვილეს ასევე ძირულა-ფონა-ჩუმათელეთის ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობაზე. ინგა მალრაძე



ამბობს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჯარო განხილვა დაბის მოსახლეობისათვის არ ჩატარებულა. „პროექტი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა ყველა გაცნოს გარემოზე ზემოქმედებისა და მათთვის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ამიტომ საჭიროა, საგზაო დეპარტამენტმა ან სხვა უფლებამოსილმა პირმა ინფორმაციული ხასიათის შეხვედრა ჩაატაროს.“

როგორც ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი თემური თავმჯდომარე გიორგი მერიაშვილმა განმარტა, დაბაში პროექტის განხილვა აუცილებლად მოხდება.

მისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის, თქმით, პროექტში მითითებულია, რომ ძირულა-ხარაგაულში მოლითი-ჩუმათელეთის გზამ დაბის ტერიტორიაზე უნდა გაიაროს, ეს კი მოსახლეობას გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის. მისივე განმარტებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ალტერნატიული გზა გაკეთდეს. ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა სხდომაზე ასევე მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პროექტების შერჩევა-შედგენისას ზოგჯერ პერსონალური მიდგომები იკვეთება. მან ასევე

აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია პროექტების გაცნობის გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას გაეცნობა.

დეპუტატებმა მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობაზე ისაუბრეს და ერთხმად აღნიშნეს, რომ აუცილებელია ქონების აღრიცხვა.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, ჯაბა ბერაძის, განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკა აღწერილია და აუდიტორული შემოწმება ჩატარებულია, რის მიხედვითაც დადგინდა, რომელი ექვემდებარება აღდგენას და რომელი - არა.

ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატების“, თავმჯდომარე პაატა გოგოლაძემ ღია ესტრადის საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ გამოიძებნება თანხები და მოვლა-პატრონობა რომელიმე ორგანიზაციას დაევალება.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატები, ვრცლად, 2 ივლისს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

გაზაქათის საჯარო სკოლის პედაგოგი ინოზარა ზაქარაია „ასწავლის არაერთხელ ჯილდოს“ საპატიო ათაქი

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ 2018 წლის საუკეთესო ათაქი შორის ბაზალეთის საჯარო სკოლის დანაშაურობის საფუძვლის პედაგოგი ქალბატონი ინოზარა ზაქარაია დასახელდა. ეროვნული ჯილდოს შესარჩევ კონკურსში 104 მასწავლებელი ჩაერთო, მათგან საუკეთესო ათაქი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა ჟიურმა შეარჩია. 5 ოქტომბერს, მასწავლებლის მსოფლიო დღეს, ათი საუკეთესო პედაგოგიდან ერთ-ერთი „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მფლობელი გახდება.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ იმ კამპანიის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციას, წარმატებული მასწავლებლის გამოვლენას და საზოგადოებისთვის მათ წარდგენას.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ინოზარა ზაქარაია კონკურსის საპატიო ათაქი ფორმის შევსებას არც ფიქრობდა, რადგან საკუთარი თავის წარმოჩენის სურვილი არასდროს ჰქონია და თვლის, რომ საქართველოში უამრავი მასწავლებელი პედაგოგია. თუმცა კოლეგებისა და ბაზალეთის სკოლის დირექტორის, ქალბატონი იზოლდა ოკრიბელაშვილის, თხოვნით, განაცხადი გააკეთა.

კონკურსი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე მოხდა ტექნიკური გადარჩევა. საპატიო ათაქი განაცხადის შევსებისას ქალბატონმა ინოზარა ზაქარაიამ ქულები მიიღო. ჩათვალა, რომ ეს მისთვის



დიდი გამარჯვება იყო და მეტი მოლოდინი აღარც ჰქონდა. როდესაც საუკეთესო ათაქი უნდა დასახელდა, ამბობს, რომ თავი ასე ღირსეულად არასოდეს უგრძნია. პედაგოგი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ თუ ადამიანს საკუთარი პროფესია და საქმე უყვარს, მაქსიმალურად იხარჯება და შედეგზე ორიენტირებული, წარმატება გარდაუვალია.

ამ ეტაპამდე მისვლა მისთვის ადვილი არ იყო. 30 წელზე მეტია, რაც სოფლის მცირეკონტიგენტის სკოლის მასწავლებელი გახლავთ. ბავშვობიდან ექიმობაზე ოცნებობდა, სურდა, პედაგოგი გამხდარიყო და ბავშვების ჯანმრთელობასა და ჯანსაღ მომავალზე ეზრუნა. ეს სურვილი ვერ აისრულა, მაგრამ მომავალი პროფესიის არჩევისას, გულმა ისევ ბავშვებისაკენ გაუწია. თვლის, რომ ექიმზე

ნაკლები მისია პედაგოგს არ აკისრია და მალევე დარწმუნდა, რომ სწორი არჩევანი გააკეთა. აძლიერებს მოსწავლეების სიყვარულით სავსე თვალები, კოლეგებისა და მშობლების დამოკიდებულება მისდამი მოდუნების საშუალებას არ აძლევს. მუდმივად ცდილობს ისწავლოს, რომ უკეთესი ახალგაზრდა იყოს.

2003 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამებში. ჩართულია დანაშაურობის განათლების პროექტ „G-PRIED“-ში, რომელშიც თავდაპირველად გუნდის ფასილიტატორი იყო, ხოლო შემდეგ - ქოუჩი. დღემდე აგრძელებს მუშაობას სკოლის ფასილიტატორ პედაგოგად „G-PRAD“-ის პროგრამა ძალიან დაეხმარა ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების დანერგვაში. განათლების ექსპერტი მათემატიკის მიმართულებით, გიორგი ნოზაძე, იმდენად დაინტერესდა მისი მოსწავლეების შედეგებით, რომ პროექტის ფარგლებში გადაიღო სასწავლო ფილმი, რომელიც აიტვირთა პორტალზე და 700-ზე მეტი სკოლის მასწავლებელმა ნახა ვიდეოს სესიების მიმდინარეობისას.

ინოზარა ზაქარაია არის მასწავლებელი, რომელიც არასოდეს იყო ჩარჩოებში მოქცეული. იგი ყოველთვის ცდილობდა, სასწავლო პროცესი ბავშვებისთვის მოსაბუზრებლად არ წარემართა. მრავალფეროვნებისა და ხარისხის ამაღლებისთვის სახალისო აქტივობებით ამდიდრებდა ყოველ გაკვეთილს. წლების განმავლობაში დაგროვილი რესურსმა, დიდაქტიკურმა საგარჯიშოებმა

ქართულსა და მათემატიკაში, გამოიმყვანა „დიოგენეს“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც სასწავლო თვალსაჩინოების შერჩევის მიზნით გამოცხადდა, ორგანიზატორების მოწონება დაიმსახურა და დასკვნით ღონისძიებაზე ქალბატონი ინოზარა ზაქარაია და მასწავლებლისთვის სახელმძღვანელოების კომპლექტით დაჯილდოვდა.

წარმატებული პედაგოგის მთავარი ორიენტირი წინგინერება, სხვისი უფლებების პატივისცემა, პრობლემების მოგვარება და კრიტიკული აზროვნებაა. პედაგოგი რეგულარულად ატარებს კლასის საათს, რომელზეც მოსწავლეებს ამ ღირებულებების შემცველ თემებზე ესაუბრება. იგი ყოველთვის აქტიურადაა ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგებთან ერთად სხვადასხვა სასწავლო პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობს. მუდმივად ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე და ასევე ცდილობს, თავისი გამოცდილება ახალბედა პედაგოგებს გაუზიაროს, დახმარება გაუწიოს და დაარწმუნოს, რომ შრომას ყოველთვის მოაქვს შედეგი.

სამომავლოდ ინოზარა ზაქარაია კვლავ აგრძელებს მუშაობას პროფესიული განვითარების მიზნით და სურს, მეტორი პედაგოგის სტატუსი მოიპოვოს.

ვულოცავთ ღირსეულ პედაგოგს საუკეთესო პედაგოგთა ათაქიში მოხვედრას და მომავალ გამარჯვებას ვუსურვებთ!

ლელა ბუჟულაშვილი

სარგაშულის კლინიკის დირექტორმა ლეონი ელბაქიძემ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს ეტლი გადასცა

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ხარაგაულის სამედიცინო დანესტრუქტურის დირექტორმა ლეონი ელბაქიძემ და ფინანსურმა მენეჯერმა ლევან ნანიტაშვილმა სოფელ ისლარში მცხოვრებ მერაბ ჭიპაშვილს ეტლი გადასცეს. ელბაქიძე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს სახლში პირადად ესტუმრა და მის ჯანმრთელობის მდგომარეობას ადგილზე გაეცნო. მერაბ ჭიპაშვილი რამდენიმე წლის წინ ხარაგაულის სამედიცინო დანესტრუქტურაში მკურნალობის კურსს გადიოდა. გამომდინარე იქიდან, რომ მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეეძლო, კლინიკის ხელმძღვანელობამ აქტიურად დაიწყო მუშაობა, რათა მერაბ ჭიპაშვილისთვის ეტლი შეეძინათ. ბენეფიციარს წინასწარ აუღეს ზომები, ეტლის მორგების ყველა ნიუანსის გათვალისწინებით. საჭირო საბუთები გაიზავნა საერთაშორისო ასოციაცია „ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისთვის“, რომელიც



ამერიკული ჰუმანიტარული დონორი ორგანიზაცია „LDS CHARITY“-ის თანამონაწილეობით საქართველოში მრავალსაქველმოქმედო პროექტს ახორციელებს. სწორედ აღნიშნული ორგანიზაციის დახმარებით მოხდა ეტლის შეძენა და

მერაბ ჭიპაშვილისთვის უსასყიდლოდ გადაცემა.

როგორც ლეონი ელბაქიძე აცხადებს, „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელობის სურვილია, ბევრი გამოჯანმრთელებული და კმაყოფილი პაციენტი დაბრუნდეს შინ. მისივე თქმით, ხარაგაულის სამედიცინო დანესტრუქტურისთვის ალტერნატიული და საუკეთესოდ მომზადებული პერსონალით ნამდვილად ზრუნავს პაციენტების ჯანმრთელობაზე.

„ბატონი მერაბისათვის ეტლი დიდი შეღავათია. მას უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება და შევეცადეთ, ეს ტვირთი ცოტათი შეგვესუბუქებინა. რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას და თუ ვინმეს ამის საჭიროება დაუდგება, აუცილებლად დავეხმარებით,“ - განაცხადა კლინიკის დირექტორმა.

მკა შაჰიძე



ძვირფასო მკითხველო! ძვირფასო ხარაგაულელებო! მაქვს პატივი, ჩემთვის საყვარელი ხარაგაულის გაზეთში, ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის საყვარელი იზა ვეფხვაძის, ლიტერატურული თეატრისა და 12 ივნისის თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართული პრემიერის შესახებ გაიმბოთ. სანამ დიდი ქართველი მხატვარის, ილია პატაშურისადმი მიძღვნილი სპექტაკლის შესახებ დავიწყებდემ მსჯელობას, მინდა, რამდენიმე სიტყვა ვთქვა ქალბატონ იზა ვეფხვაძეზე, ამ უნიჭიერეს ქალბატონზე, რომელმაც მთელი ინტელექტუალური საქართველოს ყურადღების ცენტრში მოაქცია ხარაგაულის რაიონი, ეკრძოდ კი, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის სახალხო ლიტერატურული თეატრი, სადაც იგი მოღვაწეობს და დგამს ისეთ უნიკალურ სპექტაკლებს, რომლის სანახავდაც თბილისელი მაყურებელიც კი ჩადის ხოლმე ამ რაიონში და არა მარტო ხარაგაულში, ყველგან, სადაც გაიგებენ, რომ იზას სპექტაკლები იმართება. მეც ასე „შემთხვევით“ მოვხვდი ხარაგაულში ქალბატონ იზას სპექტაკლზე და მას შემდეგ ამ საოცარი ქალბატონის „ფანი“ გახდი.

რაც შეეხება ბატონ ილია პატაშურისადმი მიძღვნილ სპექტაკლს, იგი 12 ივნისს გაიმართა თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში. საღამო გახსნა ცნობილმა ჟურნალისტმა, პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა. თავისი მოკლე, მაგრამ საქმიანი, გამოსვლა მან მსმენელისათვის ქალბატონი იზას საოცარი ფენომენის გაცნობით დაიწყო, მერე კი სიტყვა ქალბატონ იზას გადასცა.

და დაიწყო დიდი, ულამაზესი და უმშვენიერესი, დაუფერებელი სანახაობა...

დამეთანხმებით, ალბათ, რომ შედარებით ადვილია სცენარის შექმნა, ქალბატონი იზა ხომ სცენარსაც თვითონ წერს, მხატვრულადაც თა-

ვად აფორმებს და თავადვე ქმნის სპექტაკლს, როცა საქმე მწერლის შემოქმედებას ეხება. აქ ბევრი რამ არის ისეთი, სცენარის ავტორს რომ ეხმარება სპექტაკლის შექმნაში - თავად მწერლის ბიოგრაფია, ცალკეულ ნაწარმოებთა პერსონაჟები, ნაწარმოებებში აღწერილი საინტერესო მოვლენები, ფაქტები, სიუჟეტები, სიტუაციები და ა.შ. მაგრამ ძალზე ძნელია, როცა სცენარი უნდა დაიწეროს მხატვარზე, ანუ, როცა ამ მხატვრის ბიოგრაფიის გარდა, ხელთ სიტყვიერი, ვერბალური არაფერი გაქვს. რაკი ნახატები არ ლაპარაკობენ, რით უნდა მიიზიდო, დაინტერესო მსმენელი და მაყურებელი მთელი საათ-ნახევარი?!

დამეთანხმებით, ალბათ, რომ ძნელი გამოცდის ჩაბარებამ მოუწია ქალბატონ იზას, მაგრამ მან ეს გამოცდა წარმატებით, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ ჩააბარა. უპირველეს ყოვლისა, ის ღრმად ჩანდა ამ დიდი მხატვრის შემოქმედებას. მან აამეტყველა, ალაპარაკა თავად ნახატები, ენა აადგმევინა მათ და ისე საინტერესოდ დაძაღვა, რომ მონუსხული მაყურებელი არათუ დატყვევდა, არამედ ცრემლიც კი აღვრევინა, სცენური გარდასახვის ჯადოსნური ალტყინების ცრემლი.

რასაკვირველია, ძნელია ამის გაკეთება. რასაკვირველია, ამას დიდი მხატვრული გემოვნება სჭირდება, მხატვრის სულიერი სამყაროში, მის სიღრმეებში წვდომა სჭირდება. საბედნიეროდ, ქალბატონმა იზამ ეს შეძლო და გაიმარჯვა, ვინ იცის, უკვე მერამდენედ...

გაიმარჯვა იმით, რომ მან გაუგო მხატვარს, დიდ მხატვარს, დიდ ფერმწერს. დიდ ფერმწერს იმიტომ, რომ იგი ფერებით ამბობს თავის სათქმელს, აკეთებს იმავეს, რასაც მწერალი აკეთებს სიტყვებით, მუსიკოსი ბგერებით, ნოტებით, მელოდით. ამდენად, მხატვარი, მით უმეტეს ფერმწერი, იგივე ფერებით მწერალია, ასე ამბობს ცნობილი გერმანტი ქიქოძე ფიროსმანზე. იგი ფერებით ზემოქმედებს ადამიანზე და ახდენს საოცარ შთაბეჭდილებას. ფერებით გვიქმნის მოვლენების ან ადამიანების მიმართ გარკვეულ სიმპათია-ანტიპათიას, გვიქმნის განწყობას. ფერებით მცავს გარემოს, გარემოს და მომავალზე, ფერებით გვახანისებს და გვასევდიანებს. ამავე ფერებით არა მარტო საოცარ ესთეტიკურ ტკბობას გვანიჭებს, არამედ დიდი ვაჟა-ფშაველას მსგავსად, გვარწმუნებს, რომ „ნისლი ფიქრია მთებისა“. და ჩვენ ილია პატაშურის ნახატების აღქმისას გვჯერა, რომ ეს მართლა ასეა. ბატონ ილიას, გალაკტიონის მსგავსად, მაჩანია, რომ სამშობლოს მიეუბნა დაბნეული ქლიავის ფერია და ჩვენ ესეც გვჯერა. გვჯერა, რომ არსებობს

ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს. გვჯერა იმიტომ, რომ თავად ხელოვნების ბუნებაა ასეთი. იგი არარსებულს არსებულად აქცევს, ანუ ქმნის ახალ სინამდვილეს, ახალ სიმაღლეს, რომელსაც მხატვრული სიმაღლედ შევია და რომელიც ნაკლებად შთაბეჭედავი როდია ცხოვრებისეულ სიმაღლეზე.

სანიშნულად ავიღოთ ილია პატაშურის ნახატი „წითელი ფერდობები“. გინახავთ სადმე წითელი ფერდობები? არაო, ვერ იტყვით, რადგან თქვენ არც იისფერი თოვლი გინახავთ და არც „უდაბნო ლურჯად ნახავერდები“. მაგრამ ხომ დაგანახავთ იგი დიდმა გალაკტიონმა? მამ, აქ რატომ ვერ შეძლებთ „წითელი ფერდობების“ დანახვას? იგი ხომ მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია, მისგან შექმნილი მხატვრული მეტაფორა, მეტაფორა კი, როგორც როლანდ დევიდსონი ამბობდა, ენის სიზმარია და სხვა არაფერი.

ახლა ავიღოთ ილია პატაშურის „ეზო“, „თორღვას კარ-მიდამო“, „ცისკრის ზარები“, „ღრუბლები“ - აქ ოთხივე შემთხვევაში სათქმელს ფერები ამბობენ და არა სიტყვები. ან ავიღოთ ილია პატაშურის „მზიანი დღე“. აქ მზე არსად ჩანს, მაგრამ, სამაგიეროდ, იმდენი სითბო და სინათლე იღვრება სულში, რომ ამკარად ხვდებით, რომ კიდევ ერთი ახალი მზიანი დღე გათენდა აქ, ამ დალოცვილ მინაზე.

განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს ბატონი ილია პატაშური ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, ისტორიულ თემატიკას. სანიშნულად ავიღოთ „დიდგორი“. აქ მაყურებლის ყურადღებას ცალკეული ბატალური სცენები კი არ იპყრობს, არამედ ომის გრანდიოზულ მასშტაბებსა და ამ ომში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებაზე კვლავ ფერები მიგვანიშნებენ. აქ, ამ ნახატში, მთავარი ფერი მუქი წითელია, როგორც ბოროტზე კეთილის გამარჯვების, მტრის დაძლევისა და დამარცხების სიმბოლო.

სულ სხვა ფერებითაა დახატული „კრწანისი“. აქაც ფერთა უცნაური შესამებობი მხატვარი გვავრცხიანებს, რომ მოხდა რაღაც დიდი უბედურება, რაც დაღუპვის, განადგურების ტოლფასია. და ეს ყველაფერი ნაჩვენებია მუქი ლურჯი ფერით, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, შავ ფერში გადადის. შავი ფერი კი რომ გლოვის, დიდი მწუხარების, ტრაგედიის მიმანიშნებელი ფერია, ეს ოდითგანვე ცნობილი.

და ეს ყველაფერი უნდა დაეხასა ქალბატონ იზა ვეფხვაძეს, თუ მას სურდა, სწორად გაეგო ავტორის ჩანაფიქრი, მისი მსოფლმხედველობა, ფაქტებისა და მოვლენების მისეული აღქმა. და მან ეს ბრწყინვალედ შეძლო. მან ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცა ის, რაც ამ ნახატებშია, თუ

თქვენი ფუფაცა რომ ენახა...



(რეჟისორი თამაზ კიკნაძე); მართა და პელაგია - დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“ (რეჟისორი მეუფე დოსითეოსი - დიმიტრი ზოგვერაძე); ეფრასინე - დავით კლდიაშვილის „სოლომონ მორბედაძე“ (რეჟისორი თამაზ კიკნაძე); დედა - ნოდარ ღუმბაძის „თეთრი ბაირალები“ (რეჟისორი თამაზ კიკნაძე); კაკანო - ნოდარ ღუმბაძის „მე ვხედავ მუქს“; ფუფალა - გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე); მარგარიტა - „და დროც გაჩერდება“ (ფიროსმანი) - რეჟისორი და სცენარის ავტორი ირინე ჩხეიძე); პროფესორი ეკა - ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე).

მსახიობს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა თეატრის იუმორისტული სექტრებით გასვლა სოფლის მაყურებლებთან შესახვედრად. განა შეიძლება დაავიწყდეთ მისი ქალბატონი ალისა ნოდარ ხუნწარიას „რაც მოგივა, დავითაო“; ფლორენცია ჭიკჭიკაშვილი - ნოდარ ხუნწარიას „იუბილე“.

ლუიზა ბებოს ბავშვებიც როდი რჩება ყურადღების მიღმა. მან ძალზე შთაბეჭედავი სახეები შექმნა: ბებია-ვაჟა-ფშაველას „სათავური“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე); ბებია - შარლ პერის „ნითელქუდა“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე).

როგორც ცნობილია, 2008 წლიდან ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრთან ირინე ჩხეიძის ხელმძღვანელობით მოქმედებს თოჯინების თეატრი. აქაც თავის სიტყვას ამბობს ლუიზა კიკნაძე, რომელიც ხან კატაა, ხან - თავი და ხანაც მელია...

ბავშვების დიდი სიყვარული დამისახურა დეიდა მარინემ (ლუიზა კიკნაძე) თოჯინების თეატრის სპექტაკლში „აბა, დამაცადეთ, თავუნებო!“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე).

თოჯინების თეატრმა ექვსი სპექტაკლი დადგა და ექვსივეში იყო დაკავებული ლუიზა კიკნაძე.

ლუიზა კიკნაძის მსახიობური ოსტატობის შედეგია, რომ მან ორჯერ მიიღო პრიზი ნომინაციაში „მაყურებლის სიმპათია“ გორსა და ქუთაისში - ქართლისა და იმერეთის თეატრალურ ფესტივლებზე. ხარაგაულის სახალხო თეატრმა სამჯერ მიიღო გრან-პრი და სპექტაკლებში სამივეჯერ მონაწილეობდა ლუიზა კიკნაძე. ეს სპექტაკლებია : „თანამდევ

ყურს კარგად მოუგდებ, ხმინაობს. ის კი არა, თუ ყურს პროფესიონალის დონეზე მოუგდებ, დიდგორისა და მარაბდის მიდამოებში იარაღის ჟღარუნი და საბრძოლო ყიფინაც კი შემოგვსმებათ.

საღამო დასრულდა თავად მხატვრის, ილია პატაშურის, შთაბეჭედავი გამოსვლით. სხვათა შორის, მან გაიხსენა ქალბატონი იზა ვეფხვაძის ორგანიზებით ხარაგაულში მოწყობილ სამხატვრო პლენერ „გამამში“ მონაწილეობა, როცა ფარცხნალში ელგუჯა ხარაბის ოჯახში სტუმრობისას ფერებში აამეტყველა გალაკტიონის უკუდავი სახე, ხოლო თეთრანყაროში, აკაკი ლურსა მანაშვილის ოჯახში, საქორიანის ხედი დახატა.

იზა ვეფხვაძემ კი თავისი მორიგი გამარჯვება იხიმა. ამ სპექტაკლზე, საერთოდ, იზა ვეფხვაძეზე, მის უცნაურ ფენომენზე, მის შრომის მოყვარეობაზე, ფენომენალურ ნიჭიერებაზე, მის ეროვნულობაზე, მამულისადმი მის უსაზღვრო სიყვარულზე კიდევ ბევრი რამ არის სათქმელი, მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთის ფურცლები ამას ვერ დაიტევს. ამის შესახებ ბევრი თქმულა და კიდევ ბევრი ითქმება.

ჩემი სტუმრობა ხარაგაულის რაიონული გაზეთის ფურცლებზე მინდა, ასე დავასრულო: ბედნიერია ხარაგაული, ქალბატონი იზა ვეფხვაძე რაიონისა და საქართველოს ნამდვილი მშვენებაა. მისი თეატრი ერთ-ერთი ისეთი კულტურული ცენტრია, რომელიც ნებისმიერ ქალაქს დაამშვენებდა. ბედნიერია ადგილობრივი ხელოსნოვლები, ყველა მისი თანამედროვე, რადგან სწორედ ჩვენს დროში აკეთებს დიდ ეროვნულ საქმეს ეს უნიჭიერესი ქალბატონი. ცალკე საუბრის თემაა მის მიერ დაწერილი ათობით ნიგნი მშობლიურ რაიონზე, ასეთი რამ საქართველოს არც ერთ რაიონზე არ შექმნილა. მისი ნიჭი ერთ ჩარჩოში არაა მოქცეული, მრავალმხრივი და უსაზღვროა... იგი ხარაგაულის სახელთი მთელ საქართველოს ეფერება... რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრით საქართველოს მთა და ბარმა გაიციო და შეიყვარა ხარაგაული. თბილისის საზოგადოება მუდამ მოუთმენლად ელოდება თბილისში მის სპექტაკლებს და დარბაზები აღფრთოვანებულ მაყურებლებს ვერ იტევს.

ასე მგონია, სიტყვები: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“, სახელდობრ, ქალბატონი იზაზე ნათქვამი. კვლავაც მრავალი წარმატება, ქალბატონი იზა, თქვენ, თქვენს თეატრსა და მშობლიურ ხარაგაულს.

რეზო პალანჩიშვილი - პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

სკოლაში გამორჩეული იყო კარგი სწავლით, სასკოლო თუ სკოლისგარეშე მხატვრულ-ესთეტიკურ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობით...

ლუიზა კიკნაძემ 1970 წელს დაამთავრა ა/კ რკინიგზის ხარაგაულის N 10 საშუალო (ახლანდელი მესამე საჯარო) სკოლა. იგი მაღლიერებით იტონებს საღანძოლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, ან განსვენებულ დიმიტრი ჭიპაშვილს, რომელმაც ახალსკოლადამთავრებულს სასოფლო კლუბში მისცა სამუშაო ასპარეზი, რითაც ფართო სივრცე გადაეშალა გოგონას მისწრაფებებს.

ბავშვობიდანვე შრომასთან შეზრდილ ქალიშვილს საკუთარი წვლილი შეჰქონდა თანასოფლელებთან ერთად საღანძოლის კოლმეურნეობის ეკონომიკური ბაზისის განმტკიცებაში. ოცნება აისრულა, როცა, როგორც მონიწივე ახალგაზრდას, მისცეს ლიმიტი და 1976 წელს ქალაქ თბილისის სერგო მჭარიაძის სახელობის სამსახიობო-სარეჟისორო სასწავლებელში ჩაირიცხა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1979 წელს.

„სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“ - სწორედ აქ, ამ სასწავლებელში, ჰპოვა მან ცხოვრების ერთგული მეგობარი, თანაკურსელ ნიკოლოზ ნიკლაურის სახით. გუდადმარულმა ვაჟკაცმა მთიელის სიყვარულით სავსე გული გადაუშალა იმერეთის ასულს და საპასუხო გრძნობამაც არ დააყოვნა - სასწავლებლის დამთავრებისთანავე შეუღლდნენ. უფლის სიყვარულით, შრომითა და ურთიერთპატივისცემით ააზთეს კერაზე წმინდა სანთელი... შემდეგ კი საზოგადოებასათვის სასარგებლო, კარგად აღზრდილი და განათლებული ორი პიროვნება - გოგიტა და სოფო ნიკლაურები შექმნა მამულს...

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ლუიზა კიკნაძემ უკვე პროფესიულ დონეზე განაგრძო მუშაობა მშობლიური სოფლის კლუბში. ღამაზი და შინაარსიანი ღონისძიებებით შრომის ხალისს უძლიერებდა თანასოფლელებს. ხარაგაულის თეატრის იმჟამინდელი რეჟისორი ოთარ აბაშიძე ხშირად იწვევდა ხოლმე ლუიზა კიკნაძეს სხვადასხვა ღონისძიებაში. საბოლოოდ კი თამაზ კიკნაძისა და ნიკოლოზ დეკანოსიძის ძალისხმევით მკვიდრი ადგილი დაიღო კულტურის ამ უმშვენიერეს კერაზე, რომლის გაძლიერებაშიც თვალსაჩინოა ლუიზა კიკნაძის, როგორც მსახიობისა და რეჟისორის წვლილი.

პირველი მთავარი როლი ხარაგაულის სახალხო თეატრში აზერბაიჯანელი დრამატურგის პეისა „დედამთილში“ შეასრულა. ახალგაზრდა მსახიობმა ისეთი ზემოქმედება მოახდინა მაყურებელზე, რომ მისალმებისას ორი კარგი ხარაგაული - არსენ სხილაძე დედამთილს ეძახდა, ხოლო ვალოდია კიკნაძე - ჯანათას, სპექტაკლის მთავარი პერსონაჟის სახელს...

მსახიობის მიერ განსახიერებული როლების ჩამოთვლაც ცხადყოფს, თუ როგორი იყო ლუიზა კიკნაძის შემოქმედებითი ყოფა: დარეჯანი - ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“?

ხიდრისა და მარელისის საჯარო სკოლებში ამერიკელი მოხალისეები ჩამოვიდნენ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებს ორი ამერიკელი მოხალისე ეხვია. რეიჩელ ლენგსთონი და სტივ ჰანი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინა. რეიჩელ ლენგსთონი, რომელიც ტეხასის შტატიდან არის, ხიდრის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ინგლისური ენის შესწავლაში დაეხმარება, ხოლო მარელისის საჯარო სკოლის მოსწავლეებს წარმოშობით კორეელი



სტივ ჰანი ასწავლის, რომელიც კალიფორნიის შტატში, სან-ფრანცისკოში გაიზარდა. მოხალისეები სკოლებში ორი წლის განმავლობაში დარჩებიან, ისინი მოსწავლეებს ინგლისური ენის შესწავლის გარდა სხვადასხვა სოციალური და კულტურული

ლონისძიებების განხორციელებაშიც დაეხმარებიან.

შეხვედრაზე რესურსცენტრის უფროსმა მარინე ვეფხვაძემ მშვიდობის კორპუსის შესახებ ისაუბრა. მისი ინფორმაციით, აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოში 2001 წლიდან შემოვიდა, რომლის მიზანია მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები გავლილი აქვთ ტრენინგები და ცდილობენ, საფუძვლი-

ანად შეისწავლონ ქართული ენა. რეიჩელ ლენგსთონი პროფესიით ფსიქოლოგია, ასევე უმაღლესი განათლება აქვს მიღებული ხელოვნების მიმართულებით. სტივ ჰანსი კი, ციფრული მარკეტინგის სპეციალისტია.

სკოლის დირექტორები მოხალისეებს ახალი სასწავლო წლიდან დიდი იმედებით ელოდებიან და თვლიან, რომ ეს ორი წელი მათი სკოლებისთვის განსაკუთრებული და გამორჩეული იქნება.

ქაა შაჰიძე

დაბის მე-3 საჯარო სკოლაში მეოთხეედახედი პირველი მასწავლებლები გაემშვიდობნენ

„ამაღნი ისარგებს მწიდავი, ოდეს მოისთვლის მტყუნებსა“- ბრძანებდა დავით გურამიშვილი. სწორედ ასეთი სიხარული წინამძღვრობდა იმ უმცერეს ღონისძიებას, რომელმაც ნათლად გამოავლინა მასწავლებლის თავდაუზოგავი შრომა და მოსწავლეთა მომზადების მაღალი დონე. ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის მეოთხეკლასელები პირველ მასწავლებელს, ქალბატონ ნანა კვინიკაძეს დაემშვიდობნენ.

იმ დღეს ხარაგაულის კულტურის ცენტრის დარბაზში მოსწავლეები საკმაოდ დატვირთული პროგრამით წარდგენ მასწავლებლის წინაშე, რომელიც მედგენილი იყო იმეგრანტი პოეტი ქალის ნანა მეფარიშვილის ლექსებისა და დიდი ილია ჭავჭავაძის ბრძნული გამონათქვამების მიხედვით. ღონისძიების თემა გახლდათ „ავგიდოდგორე სამშობლო, დეირთო!“. ლექსებს ენაცვლიდნენ და ცეკვა, სასიამოვნო მელოდები...

ნანა მასწავლებელმა სიყვარულით ჩაიკრა გულში მომავალი პირველკლასელები, რომლებიც მასწავლებლის წინაშე ლექსებით წარდგნენ. შემდეგ კი ქალბატონმა ნანამ წიგნებით დასაჩუქრა, რომლის თავფურცელზეც შემდეგ თბილ სიტყვებს ამოკითხავდით: მომავალი პირველკლასელი!



ჩემო პატარა! ფეხბედიერი იყოს შენი შემოსვლა სახელოვანი ტრადიციების მქონე ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის კედლებში...

შენ გელოდებოდა ლამაზი საკლასო ოთახი, ლამაზი სახელმძღვანელო წიგნები, გულისხმიერი მასწავლებლები, რომელთა მეშვეობითაც გაიძლება და გაიფურჩქნება შენი ნიჭი! მამ, გაიზარდე კარგ ქართველად, შენი სამშობლოს ღირსეულ შვილად!

აღსაზრდელებს შეიძინე კლასის დასრულება მიულოცეს სკოლის პედაგოგებმა და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

მერი გიორგიძე: ჩვენ, ამ დარბაზში მყოფნი, მშენებრებს ვუზარეთ. არ მიკვირს, რადგან ყოველდღიურად ვხედავდით, თუ რა პატიოსანი იყო მთავრებული მასწავლებელიცა და მოსწავ-

ლეებიც. მინდა, მაღლობა გადავუხადო პირველ მასწავლებელ ნანა კვინიკაძეს, კლასის ხელმძღვანელ ნარი კურტანიძეს, უცხო ენის პედაგოგ ნამი კერესელიძეს, ჭადრაკის მასწავლებელ თამარ ფეცქალაძეს, რომელიც პირველად სწორედ ამ კლასთან ეზიარა პედაგოგის პროფესიას. მაღლობა ყველას, ვინც პირველ მასწავლებელთან ერთად ნაბიჯ-ნაბიჯ ძიებდა ამ გზაზე ნებისა და ბიჭუნების სულს. დღეს ვახსენებ, თუ რაოდენ რატორიული იყო ღონისძიების პროგრამა, მაგრამ შევირდებოდა ოსტატის მიერ გაკეთებულ გზაზე თავდაჯერებულად გაიარეს.

მნახა, რომ ოთხწლიანი ბუდიდან ახალ ბუდეში გადაფრენილები, კარგი სწავლითა და ყოფაცქვეით ნამდვილად აადიდებოდა ჩვენს სათაყვანებელ მამულს, საქართველოს!

ნარი კურტანიძე-კლასის ხელმძღვანელი: ჩემი საყვარელი მოსწავლეები! თქვენს შესაძლებლობებში დარწმუნებული ვიყავი, ჩვენ ხომ ერთად გაიარეთ ოთხწლიანი გზა, მაგრამ დღევანდელმა დღემ ყოველგვარ მოლოდინს გააძაქრა. თქვენგან დიდი სიბოძი და სიყვარული წამოვიღე მასწავლებლების, სამშობლოსა და მშობლიური ენის მიმართ. რა მაღალ გადაცემა ეს ოთხი წელი. რა

დამაჟინებებს თქვენს აცრემლებულ თვალებს, როცა პირველად შემოაბიჯეთ სკოლის კედლებში, როცა ვერ შორდებოდით დედის კალთას.

დაგლოცეთ და შევთხოვ უფალს, კვლავ წარმატებითა და სიხარულით აივსოს თქვენი ცხოვრების ყოველი დღე. ვერა კიქაძე: ტრადიციული გახდა სასკოლო ღონისძიება, რომელიც მასწავლებლის თავის აღსაზრდელებთან ურთიერთობის ოთხწლიან მონაცემებს საზიზიოდ ასრულებს და ხდება დამშვიდობება პირველ მასწავლებელთან. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ბევრ ღონისძიებას დავსწრებივარ, მაგრამ ასეთს არასდროს ყოველდღე კი ნანა კვინიკაძის თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ჩანდა და გამოვლინო მოსწავლეების ის დაფარული, შეუცნობელი უნარი, რაც მათშია, ეს დიდ ოსტატობას მოითხოვს აღმზრდელისგან. სიხარულით ვარ გულსაც, ნანა მასწავლებელი, თქვენ და თქვენმა მოსწავლეებმა დამსახურებულად გაიმარჯვეთ, მაღლობა თქვენ!

გამოსაშვებ ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ქაა შაჰიძე

წარმინაგული

კურსდამთავრებულმა მოსწავლეებმა და პირველი მასწავლებლები გაემშვიდობნენ

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლითი ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწავლეების წახალისება და წარჩინებული მოსწავლეთა წარმოჩენა. პროექტის ფარგლებში 2017-2018 სასწავლო წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი 25 მოსწავლე გახდა. ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, მარინე ვეფხვაძის, ინიციატივით, ოქროს მედალოსანი (ვაშლი) კურსდამთავრებულია, ვერცხლის კი - თორმეტი. მესამე საჯარო სკოლიდან ოქროს მედალი ორმა მოსწავლემ - ამანდა ხვედელიძემ და ლუკა თაბუკაშვილმა - დაიმსახურა; მე-2 სკოლიდან: კესო მარჩიქაძე, ბერიკა ეზანოიძე და გოგა აბაშიძე; ასევე ოქროს მედალოსნები გახდნენ: ნინო ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის მოსწავლეები - მეგი მიქაბერიძე და ნათია რამინიშვილი, კიკის საჯარო სკოლის მოსწავლეები: ერეკლე და გიორგი გამრეკელაშვილები; ხევის საჯარო სკოლის მოსწავლე საბა გრიგალაშვილი; ვახანის საჯარო სკოლის მოსწავლე ანა მალრაძე; ვერცხლის საჯარო სკოლის მოსწავლენი - ლამა ლურსმანაშვილი და სოსო გოგოლაძე.

ვერცხლის მედლები დაიმსახურეს: ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი ნიჭაძემ, ნინო ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავლენმა: გიორგი ლომიძემ, ნინო გელაშვილმა და ნინო რამინიშვილმა; კიკის საჯარო სკოლის მოსწავლე ბორის ზეგაძემ; ხევის საჯარო სკოლის მოსწავლე რომა გრიგალაშვილმა; ვახანის საჯარო სკოლის მოსწავლე მედეა ინასარიძემ; ვერცხლის საჯარო სკოლის მოსწავლე თამარ კურტანიძემ; ვარძიის საჯარო სკოლის მოსწავლე ეთერ ხიჯაყაძემ; ნიფის საჯარო სკოლის მოსწავლენმა: თეონა და თამუნა ტალახაძეებმა, მარიამ კვინიკაძემ;

შეგახსენებთ, რომ მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირდება. მოსწავლე, რომლის საშუალო საშუალო საერთო ქულა 10 დამრგვალების გარეშე და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. მოსწავლე, რომლის საშუალო საშუალო საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

ქაა შაჰიძე

ჩვენი ენა ქართული...



იმ დღეს თითქმის ბუნებრივად ხასიათი შეიცვალა. ცას მოსწყინდა პირმოღმუღი ყოფნა და ნელ-ნელა მოიკრიალა სახე. მზემაც გაიხსნა ფრთები, ცის ლაქვარდ გუმბათს გაუღიმა, დანამულ მწვანე ხავერდს სხივები სტყორცნა და ოხშივარი ადონა. „ჟორიფთა სამკედროს“, სოფელ ფარცხნალს, სამხატვრო ელფერი დაედო. ბუნების კეკლეობას აჰყვა მშრომელი კაცი. ყველა საქმე გადადო და, სანახაობას მონატრებული, სოფლის კლუბისკენ დაიძრა.

ყვავილებით მორთული დარბაზი, თვალბატულა გოგობიჭების მზაფრინი საშხადისი, ესთეტკურად გაფორმებული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი სასიამოვნო მოლოდინს უქმნიდა ადამიანებს და დანეყო... ქართული ენის, დედაენის ზეიმი.

დედაენისადმი მიძღვნილი საღამო თემაზე „ჩვენი ენა ქართული“ გახსნა ბიბლიოთეკარმა ზოია გველესიანმა. დარბაზში ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართული ენის მეზობლები სიტყვები, ლექსები, სიმღერები, ცეკვები, რომელიც წარმოადგინეს ხარაგაულის ფოლკლორული ანსამბლის წევრებმა და მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ნიკოლოზ მატყარიანი და მისი თანამშრომლები. მესამე საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი მარინე ხვედელიძე, დირექტორის მოადგილე ქალბატონი ნანა კვინიკაძე, პედაგოგები ნინო ბუაჩიძე და ნაზი სახვაძე. ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი ქალბატონი დალი და მათი მალრაძეები, ქორეოგრაფი რომან ბუაჩიძე.

ღვანულაობა პედაგოგმა, მესამე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ქალბატონმა მერი გიორგიძემ, მისთვის ჩვეული მოქარგული ქართული ისაუბრა დედაენისა და ქართული ენის შესახებ. ღონისძიება გაგრძელდა სამკითხველო დარბაზში, სადაც სტუმრებს დახვდათ ლამაზად, გემოვნებით გაფორმებული გარემო. აქ თითქმის ყველაფერი ხელოვნების ნიმუშია, იმერული ლაზთით განწყობილი სუფრაც ამის დასტურია, ხოლო მისი შემოქმედი ბიბლიოთეკარი ზოია გველესიანია.

დიდი ნიკო მარი ამბობდა: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას. მინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენა“.

ქართულმა ენამ შვა ნაკადული, მნათობი, ცისკარი, დედამიწა, ჟუჟუნა წვიმა, ნიაგი, გრივანი თუ მანანა. ამიტომ ანიჭებდა „დედაენის“ შემქმნელი იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის, დედაენის სწავლებას დიდ მნიშვნელობას. იგი ამბობდა: „საქართველოს ეროვნულმა ეტლმა რომ ტყავით არ იაროს, ან არ გაჩერდეს ერთ ადგილას, საჭიროა მასში შევებათ ძირში ქართული ენა, ყვერად მივებათ რუსული და სხვა ენები.“ ამ პატიოსანი იყო სავესტარო ღონისძიება, რომელმაც ერთხელ კიდევ წარმოაჩინა ჩვენი დედაენის, ქართული ენის ხიბლი და დიდება.

ღონისძიებით კმაყოფილი მასწავლებელი ალტაცხას ვერ მალავდა და, ერთხელ კიდევ, ამ პატარა სოფელში, როგორც სულ მნათი ნოდარ დუმბაძე იტყვას „სამეფო გვირგვინად დაედგა ქართველებს დედაენა.“

იზა ბუაჩიძე

ხეივანი ალზრისი დაწესებულებამ ხეივანი 160 ალზრისი გაიყვანა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში გამოსაშვები ღონისძიებები მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტში 14 სკოლა-ბაღში ალზრისი დაწესებულება, რომელიც 160-მა ალზრისადგამა დაასრულა. გამოსაშვები საღამოები აღმზრდელ-პედაგოგებისა და ალზრისების დაუღალავი შრომის შედეგად საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარ-

და. როგორც ბაღების გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი აღნიშნავს, ახალ სასწავლო წელს სკოლა-ბაღები დაწესებულებები, დაახლოებით, 160-მდე ალზრისადგამი მიიღეს. მისივე თქმით, სოფლის ბაღებში სასწავლო პროცესი 29 ივნისს შეწყდება, რაც შეეხება დაბას სწავლა 19 ივნისამდე გაგრძელდება. ჭიპაშვილის ინფორმაციით, 29 ივ-

ნისს დაბას საბავშვო ბაღში გრანდიოზული ღონისძიება მოეწყობა, რომელიც მონაწილეობას მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ყველა საბავშვო ბაღის ალზრისადგამი მიიღებს. შემავაშვებელ საღამოზე ნაჩვენები იქნება ასევე საბავშვო სპექტაკლი „წითელქუდა“ (რეჟისორი ირინე ჩხეიძე).

ქაა შაჰიძე

აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ სარგავული შისაგანისი ღონისძიებები გატარდა

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს. როგორც ჩვენთან საუბარში სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორი ნინო სახვაძე განმარტავს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებთან ერთად განათავსდა 290 ცალი აზიური ფაროსანის სპეციალური დამჭერი ხაფანგები (ფეროკონები). მიმდინარე წლის აპრილის თვიდან კი აქტიურად

მიმდინარეობს მონიტორინგი მავნელების გავრცელებისა და რეგულირების დასადაგენად. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, დაიცვამა შესაბამისი ღონისძიებები: ქიმიური ნაშლობა - თერმული ნისლით და ცივი შესხურება. ქალბატონი ნინოს ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში აზიური ფაროსანის შედარებით მაღალი გავრცელებით გამოირჩევა დაბა ხარაგა-ული, ხიდარი, წყალფორეთი, კიცხი, საღანძღე, ლაშე, ვარძი, სარგვეში, ბაზალეთი, ლელ-ვანი და ფარცხნალი. მისივე ინფორმაციით, სსიპ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მუნიციპალიტეტის ორმოცდაორ სოფელში ცივი შესხურებითა

და თერმული ნისლით ჩაატარა შენახვა.

მნიშვნელოვანია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მაქსიმალურად ჩართულია მოსახლეობის ინფორმირებულობაში, მათ ურთიერთობა ბუკეტებით, როგორ ეზრძოლონ აზიურ ფაროსანას, როგორ დაიცვან უსაფრთხოების წესები ქიმიური პრეპარატების გამოყენების დროს და თერმული ნისლით ნაშლობისას.

თერმული ნისლით ნაშლობა ადამიანისთვის, ცხოველებისთვის, ფრინველებისა და ფუტკრებისათვის უსაფრთხო და უვნებელი პროცესია. აუცილებელია, მოსახლეობა ზუსტად დაიცვას

უსაფრთხოების წესები, ნაშლობის პროცესში არ გამოვიდნენ სახლიდან, დახურონ კარ - ფანჯრები, დამწყვედულ იქნენ ცხოველები და ფრინველები. ნაშლობა არ მოქმედებს ფუტკარზე, რადგან თერმული ნისლით ნაშლობა ხდება საღამოს საათებში და ამ დროისათვის ფუტკარი სკამია.

შეგახსენებთ, რომ აზიური ფაროსანა (იგივე აზიური ბალონიწი, ლათ. *halimorpha halys*.) წარმოადგენს მავნებელ მწერს, რომელიც იკვებება და აზიანებს თესლოვანი და კურკოვანი ხეხილის მრავალ სახეობას, კენკროვნებს და ბოსტნულ კულტურებს. მავნებელი საქართველოში 2016 წელს გავრცელდა.

თამარ მაღრაძე

ანსამბლი „საუნჯე“ იუბილარია

18 ივნისს ხარაგაულის კინოთეატრში ანსამბლ „საუნჯის“ 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. კონცერტის დაწყებამდე კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ხალხური შემოქმედების სპეციალისტმა დალი მალრაძემ მასწავლებელს გააცნო ანსამბლის ოცნებიანი ისტორია, ის წარმატებები, რასაც აღწევდა „საუნჯე“ ნიჭიერი შემ-

რულებლებით. საიუბილეო კონცერტი მრავალფეროვანი ქორეოგრაფიული ნომრებით და ქართული ხალხური სიმღერებით დატვირთული გახლდათ (ქორეოგრაფი რომან ბუაჩიძე, ლიტბარი მაია მალრაძე).

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი ღონაძემ ანსამბლს იუბილე მიულოცა და აღნიშნა,

რომ ხარაგაულის ახალგაზრდობა ქართული კულტურული ტრადიციების გამგრძელებელია და სასურველი იქნება, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით, სალოტბარო სკოლის დაფუძნება. ბავშვები შეძლებენ უფასოდ დაეუფლონ ხალხურ სიმღერას, გალობას და ხელი შეუწყონ ქართული ხალხური შემოქმედების შენარჩუნებას, განვითარებასა და პოპულარიზაციას.

ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ტარიე შავიძის ხელოვნების ტური ჩატარდა

ხარაგაულის სპორტულ დარბაზში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ტარიე შავიძის, სსიპ-ის სახელი მიძღვნილი ტური ჩატარდა. მისი მიზანია მოსწავლეებისათვის სპორტული ცხოვრების, ჭიათურის, თერჯოლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები. ხარაგაულის ალზრისადგამიდან 2005-2006 წწ დაბადებულ ვ-

ფებს შორის საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა:

I ადგილი - საბა სებისკვრამე - 30 კგ;

II ადგილი - ზურაბ ტორიშვილი - 30 კგ; ალექსანდრე გრიგალაშვილი - 38 კგ; გიორგი პაქაშვილი - 50 კგ; გიორგი ვარდოსანიძე - 60 კგ; გოგა გრიგალაშვილი - +60 კგ;

III ადგილი - ლუკა არევაძე - 30 კგ; ტარიელ არევაძე - 34 კგ; მიხეილ ლონაძე - 42 კგ; ლუკა გრიგალაშვილი - 46 კგ;

ლო - 50 კგ; ავთო ხარატიშვილი - 60 კგ;

რაც შეეხება 2007 - 2008 წწ. დაბადებულ ვაჟებს, საპრიზო ადგილები მოიპოვეს:

I ადგილი - თეიმურაზ შველიძე - 24 კგ; ამირან ცუცქერიძე - 27 კგ; ვაბა გრიგალაშვილი - 34 კგ; გიორგი თაბუკაშვილი - 42 კგ; ვახო ნიჭაძე - 46 კგ;

II ადგილი - ზურა ხაჩიძე - 34 კგ; ნიკოლოზ ლურსმანაშვილი - 46 კგ;

გიორგი ლაბაძე - 50 კგ;

III ადგილი - საბა გიორგიძე - 30 კგ. ძირითადი ტურნირისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა: ზაზა ბერაძემ - დაბა ხარაგაული, სოსო ხაჩიძე - ხევი, ლევან დონაძემ - ბორი, ზაზა ჯანაშვილი - ლორესა და თორნიკე ინასარიძემ - ვახანი.

ტურნირი „ხარაგაულის სპორტისა და ზიდა ტურიზმის“ (დირექტორი გიორგი ჭიპაშვილი) ორგანიზებით ჩატარდა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15, ტელ: 22-32-25; ტირაჟი 1500 ცალი

ლიკავი: ქაა შაჰიძე; ტელ.: 595-51-98-12